ხელშეკრულება #43

ქ. თბილისი 25 აპრილი 2023

ერთის მხრივ, ი/მ "ლალი შამუგია" პ/ნ 62001015567 (შემდგომში „შემსრულებელი") და მეორეს მხრივ - „ააიპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანება" ს/ნ 448382571 (შემდგომში „დამკვეთი"), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სატრენინგო მომსახურეობის შესახებ.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „შემსრულებელი" იღებს ვალდებულებას შეასრულოს, ხოლო "დამკვეთი" აანაზღაუროს შემდეგი სახის სატრენინგო მომსახურეობა:

1. HACCP (Hazard Analysis Critical Control Points) - ის სისტემის თეორიული და პრაქტიკული ტრენინგი:
    1) HACCP – ის ჯგუფის შექმნა და FSMS ლიდერის დანიშვნა ორგანიზაციის დირექტორის ბრძანების საფუძველზე;
    2) მენიუს აღწერა და გამოყენების დანიშნულების დადგენა;
    3) ბლოკ–სქემის შედგენა და ადგილზე ვერიფიკაცია;
    4) პოტენციური საფრთხეების ნუსხა, საფრთხის ანალიზი, რისკის შეფასება;
    5) CCP (Critical Control Points)–ს განსაზღვრა;
    6) კრიტიკული ლიმიტების დადგენა თითოეული CCP–სთვის;
    7) მონიტორინგის სისტემის შექმნა თითოეული CCP–სთვის;
    8) მაკორექტირებელი ღონისძიებების დადგენა;
    9) ვერიფიკაციის პროცედურების შედგენა;
    10) დოკუმენტაციის და ჩანაწერების შედგენა;

    პერსონალის მიერ HACCP- ის სისტემის პრაქტიკული გამოყენება; სამუშაო ფორმების წარმოება.

2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

2.1 „შემსრულებელი" მოვალეა კეთილსინდისიერად გაუწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობა „დამკვეთს".

2.2 „დამკვეთის" მიერ „შემსრულებლისადმი" გადაცემული ინფორმაცია მისი საკონსულტაციო საქმიანობის შესახებ წარმოადგენს კონფიდენციალურს და „შემსრულებელი" პასუხისმგებელია მისი ამ სახის ინფორმაციის გახმაურებაზე.

2.3 „დამკვეთი" ვალდებულია „შემსრულებელი" უზრუნველყოს ყველა საჭირო კანონიერი დოკუმენტით.

2.5 ”დამკვეთი” მოვალეა დროულად გადაუხადოს ”შემსრულებელს” გასამრჯელო წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად.

2.6 მხარეები იღებენ ვალდებულებას დაიცვან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადები.

3. ხელშეკრულების ვადა

3.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 1 თვე.

4. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

4.1 „შემსრულებლის“ ანაზღაურება შეადგენს 4000 (ოთხიათასი) ლარს გადასახადების ჩათვლით;

4.2 ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა) ეროვნულ ვალუტაში;

4.3 ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე დოკუმენტის შედგენიდან და მიმწოდებლის მიერ საქართველოს კანონდმებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. ფორს-მაჟორი

5.1 არცერთი მხარე არ აგებს პასუხს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია სტიქიური და ტექნოლოგიური კატასტროფებით, ხანძრით, სამოარი მოქმედებებით, სამთავრობო გადაწყვეტილებათა და სოციალური აფეთქებებით და ეს მოვლენები დაიწყო და განვითარდა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ.

5.2 მხარე, რომელსაც წამოეჭრება დაუძლეველი ძალის გარემოება, ვალდებულია ასეთი გარემოების, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და შეწყვეტის შესახებ შეატყობინოს წერილობით მეორე მხარეს.

5.3 შეტყობინებაში ასახული ფაქტები დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ.

5.4 დაგვიანებითი შეტყობინება უფლებას ართმევს მხარეს გამოიყენოს ზემოთ მოყვანილი დაუძლეველი ძალის მოვლენები პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების საფუძვლად.

6. დავის გადაწყვეტა

6.1 მხარეები ეცდებიან ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა გადაჭრან მოლაპარაკების გზით.

6.2 თუ ეს არ მოხერხდება, მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

7. ხელშეკრულების შეცვლა და შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმებით.

7.2 მხარეებს არ აქვთ მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე გადასცენ მესამე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები.

7.3 ხელშეკრულების შეწყვეტა დაიშვება მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

7.4 თუ მხარე უხეშად არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ პირობებს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, რის შესახებაც იგი ბრალეულ მხარეს წერილობით ატყობინებს.

8. დამატებითი პირობები

8.1 საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

8.2 ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე დამატებით სიტყვიერ შეთანხმებას.

8.3 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელიც გადაეცემა ორივე მხარეს. ყოველ ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

9. მხარეთა რეკვიზიტები

„დამკვეთი“ - „ააიპ ხელვაჩაურის ბაგა-ბაღების გაერთიანება“

დირექტორი ლია გოგიტიძე

„დამკვეთი“

khelvachauri kindergarten union

Digitally signed by khelvachauri kindergarten union
Date: 2023.04.26 11:23:12 +04'00'

„შემსრულებელი“ - ი/მ “ლალი შამუგია“

„შემსრულებელი“

Lali Shamugia 62001015567

Digitally signed by Lali Shamugia
Date: 2023.04.26 10:36:43

საბანკო რეკვიზიტები -

საქართველოს ბანკი - საბანკო კოდი - BAGAGE22

ანგარიშის ნომერი - GE39BG0000000537782076